სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 ივნისი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/126

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის N06-01/64 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2025 წლის 18 ივნისის N688014 სამსახურებრივი ბარათის და ,,ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სლოვენიაში, ქალაქ მარიბორში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 მაისის N01-14/188 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **N1 დანართის (წესის) მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ბსუ-ში პროფესიული განათლების ფარგლებში სასწავლო პროცესს წარმართავენ წინამდებარე წესის შესაბამისად მიღებული (მოწვეული) პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც: ა) გააჩნიათ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციები; ბ) აქვთ შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან/და უმაღლესი

განათლების დიპლომი ან/და სამუშაო გამოცდილებით (ცნობა მუშაობის გამოცდილების შესახებ) ან/და წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური მათ შორის უცხოეთში მიღებული) განათლების აღიარების დოკუმენტით. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციების ირიბ დადასტურებად შესაძლოა ჩაითვალოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების მიზნებისათვის ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგში ან/და გარე პროვაიდერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგები (ტრენინგებში მონაწილეობის მატერიალურ მტკიცებულებებად განიხილება: სერტიფიკატები ან/და დასწრების ფურცლები); სტუდენტების კითხვარების, ასევე შიდა მონიტორინგის ან ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.“

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს <u>კოდიფიცირებული</u> „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი” და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — მერაბ ხალვაში